GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 09 Nisan/აპრილი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 274.6	-6.2%	18.5 %	7.2 %

Başbakana Korona Virüs Tespit Edildi
პრემიერ-მინისტრს კორონა ვირუსი დაუდგინდა

Gürcistan Başbakanı Irakli Garibashvili'ye rutin test sonucunda koronavirüs tespit edildi. Başbakan kendini iyi hissediyor ve çalışmaya izolasyonda kalarak, online yöntemle devam ediyor.

Türkiye Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Recep Tayyip Erdoğan resmi mektupta Başbakan'a geçmiş olsun dilekleri iletti.

Recep Tayyip Erdoğan: "Sayın Başbakan, sevgili dostum, Kovid-19 testinizin pozitif çıktığı için çok üzgünüm. Bir an önce sağlıklarına kavuşmalarını temenni ediyorum. Tedavi sürecinde yanınıza olduğumuzu, sağlıklarına kavuşmanız için aktif destek vermeye hazır olduğumuzu ifade ediyorum. Bu vesileyle Ekselansınıza sağlık ve mutluluk, dost Gürcü halkına ise refah diliyorum."

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გეგმური ტესტირების შედეგად, კორონავირუსი დაუდასტურდა. პრემიერ-მინისტრი თავს კარგად გრძნობს, იგი თვითიზოლაციაში იმყოფება და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი ოფიციალურ წერილში პრემიერს მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს და ადასტურებს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის პროცესში მხარდაჭერისთვის.

„პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, ძვირფასო მეგობარო, ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ თქვენი ტესტი კოვიდ-19-ზე დადებითი აღმოჩნდა. გისურვებთ სწრაფად განკურნებას და ძალიან მალე სრულად გამოჯანმრთელებას. მსურს იცოდეთ, რომ თქვენთან ერთად ვართ მკურნალობის პერიოდში და საჭიროების შემთხვევაში, არ დავიშურებთ ძალისხმევას თქვენს გამოსაჯანმრთელებლად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენს აღმატებულებას ვუსურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება, ხოლო მეგობარ ქართველ ხალხს - კეთილდღეობა და აღმავლობა“ - აცხადებს რეჯეფ ტაიპ ერდოღანი.

Dostluk Grubu Milletvekillerinin Büyükelçiliğe Ziyareti
მეგობრობის ჯგუფის წევრი დეპუტატების სტუმრობა საელჩოში

8 Nisan 2021 tarihinde T.C. Tiflis Büyükelçiliğinde Gürcistan'daki Türk işadamları ile Gürcistan Parlamentosu'nda kurulan Türkiye Cumhuriyeti Parlamentosu dostluk grubu arasında tanışma toplantısı gerçekleştirildi.

Toplantıda Dostluk Grubu Başkanı Sn. Beka Odisharia ve Milletvekilleri: Sn. Anzor Bolkvadze, Sn. Sn. Irakli Zarkua, Sn. Fridon Injia, Sn. Mariam Lashkhi, Sn. Sozar Subari, Sn. Irakli Chikovani, Sn. Maka Bochorishvili, Sn. Anton Obolashvili, Sn. Aluda Ghudushauri ve Sn. Mikheil Daushvili katılmışlardır.

Toplantı GÜRTİAD başkanı Sn. Osman Turan, Yönetim Kurulu Üyeleri, Üye firma temsilcileri, MÜSİAD temsilcileri ve Uluslararası Yatırımcılar Derneği Yönetim Kurulu üyeleri ile Gürcistan'daki Türk iş dünyası temsilcilerinin katılımıyla gerçekleşti.

Taraflar, iki ülke Parlamentolarının Dostluk Grupları arasındaki işbirliğini ve Gürcistan'a ek Türk yatırımlarının çekilmesi konularını ele aldı.

8 აპრილს თურქეთის საელჩოში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა საქართველოში მყოფ თურქ ბიზნესმენებს და საქართველოს პარლამენტში შექმნილ თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფს შორის. შეხვედრას ესწრებოდა მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ბექა ოდიშარია და ჯგუფის წევრი დეპუტატები: ანზორ ბოლქვაძე, ირაკლი ზარქუა, ფრიდონ ინჯია, მარიამ ლაშხი, სოზარ სუბარი, ირაკლი ჩიქოვანი, მაკა ბოჭორიშვილი, ანტონ ობოლაშვილი, ალუდა ღუდუშაური და მიხელ დაუშვილი.

საქართველოში თურქული ბიზნეს წრეების წარმომადგენელთა შორის შეხვედრას ესწრებოდა GÜRTİAD-ის თავმჯდომარე ბ-ნ ოსმან თურანი, გურთიადის მმართველი საბჭოს წევრები და წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე MÜSİAD - ის წარმომადგენლები და საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის მმართველთა საბჭოს წევრები.

მხარეებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის პარლამენტების მეგობრობის ჯგუფებს შორის თანამშრომლობაზე და საქართველოში დამატებითი თურქული ინვესტიციების მოზიდვის საკითხებზე.

9 Nisan

9 აპრილი

Bugün, 9 Nisan 1989'daki trajik olayların 32. yıldönümüdür. 32 yıl önce Rustaveli'de Gürcistan'ın bağımsızlığı için mücadele eden barışçı eylem Sovyet kuvvetlerince vahşice katledildi. Saldırı nedeniyle 21 kişi hayatını kaybetti ve yüzlerce kişi yararlandı.

Özgürlük için teşekkür ederiz!

დღეს 32 წლისთავი შესრულდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებიდან. 32 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით რუსთაველზე შეკრებილი მშვიდობიანი აქცია საბჭოთა ჯარებმა სასტიკად დაარბიეს. დარბევის შედეგად 21 დაიღუპა, ასობით ადამიანი კი დაშავდა.

მადლობა თავისუფლებისთვის!

Ülke Kalkınma Konseyi ve 10 Yıllık Planı

ქვეყნის განვითარების საბჭო და 10 წლიანი გეგმა

Başbakan Irakli Garibashvili'nin girişimiyle, ülke kalkınması ve reformları için ayrı bir kurumlar arası konsey kurulmuştur. Konsey üyeleri arasında bakanlar, millet vekiller ve diğer yetkililer yer alacaktır. Konseyinin amacı ülke gelişiminin on yıllık planın geliştirilmesidir.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ქვეყნის განვითარების და რეფორმების უწყებათაშორისი საბჭო შეიქმნა. საბჭოს შემადგენლობაში მინისტრები, დეპუტატები და სხვა ოფიციალური პირები იქნებიან. საბჭო ქვეყნის განვითარების ათწლიან გეგმას შეიმუშავებს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Covid – 19
კოვიდ – 19

Gürcistan'da korona virüs vaka sayısının artış eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 4394'e ulaştı (ortalama: 628 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır. Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 287 187'e ulaştı. Can Kaybı – 3 858, iyileşenlerin sayısı – 276 426, aktif vaka ise – 6 899. Halihazırda hastanelerde 2129, otellerde ise 285 kişi tedavi görüyor, 233 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %2,12'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %2.09'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %2.47'e eşittir.
Gürcistan'da aşı toplam 15 693 kişiye yapıldı.
Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 134 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 134 562 225; Can Kaybı – 2 915 877; İyileşen kişi sayısı – 108 345 755. En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Hindistan, Fransa ve Rusya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რიცხვის მზარდი ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 4394-ს უტოლდება (628 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა. საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 287 187 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 858, გამოჯანმრთელდა 276 426, ხოლო 6 899 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 2129 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 285 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 233 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 2.12%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 2.09%, ხოლო 7 დღის 2.47%.
საქართველოში ჯამურად აცრა 15 693 ადამიანს ჩაუტარდა.

Gürcistan'a Basitleştirilmiş Kurallarla Giriş Yapabilecek Ülke Vatandaşları/Sakinleri

AB/ევროკავშირი	Bahreyn /ბაჰრეინი
Isviçre / შვეიცარია	BAE / არაბეთის გაერთიანებული საამიროები
Suudi Arabistan / საუდის არაბეთი	İsrail / ისრაელი
ABD / აშშ	Beyaz Rusya / ბელორუსი
Türkiye/თურქეთი	Azerbaycan / აზერბაიჯანი
Norveç / ნორვეგია	Ermenistan / სომხეთი
Katar / ყატარი	Ukrayna/უკრაინა
Kazakistan / ყაზახეთი	Rusya / რუსეთი

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.4260 TRY/GEL – 0.4196 EUR/GEL – 4.0646 GBP/GEL – 4.7108

USD/GEL

02 - 09 Nisan 2021



USD/TRY

02 - 09 Nisan 2021

TRY/GEL

02 - 09 Nisan 2021

BTC – 57 995.40

02 - 09 Nisan 2021